# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—ორშაბათი, 28 აგვისტო 1900 წ. № 1223

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372

საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## რედაქციისაგან

გავახსენებთ ჟურნალ „მოამბის“ და გაზეთ „ცნობის ფურცლის“-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ**, წინააღმდეგ შემთხვევაში **სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.**

## ახალი ამბავი

✦ ზაფხულის შემდეგ **პირველი კრება ტფილისის საბჭოს** ხმოსანთა მოხდება შემდეგ ორშაბათს, 4 ენკენისთვეს.

✦ შარშან ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა შემოღება საყოველთაო გადასახადისა ტფილისის მცხოვრებლებზე **საავადმყოფოს დაარსებისათვის**. გამგეობას ამ დღეებში ცნობა მოსვლია, რომ მთავრობას უარუყვია ეს პროექტი. გამგეობას განზრახვა აქვს ახალი პროექტი შეადგინოს ამ საქმის შესახებ.

✦ ტფილისის სახალხო თეატრში (ავჭალის ქუჩაზე) **სახალხო წარმოდგენების სეზონი** ენკენისთვის პირველ რიცხვებიდან დაიწყება. ქართული წარმოდგენა განზრახულია 8 ენკენისთვეს, როდესაც აპირებენ ახალი პიესის დადგმას.

✦ „ნოვ. ობოზ.“-ს ატყობინებენ ვლადიკავკავიდან, რომ ამ დღეებში იქ 50 წლის **არსებობის იუბილეი** უდღესასწაულია სავაჭრო ფირმას „ღვინით ვაჭრობა მ. თ. ჩითაშვილისა შვილებითურთ.“ ფირმის დამაარსებელი თელაველი ქართველი მ. ჩითაშვილი ახლაც ცოცხალია და ჯერ კიდევ თითონ აწარმოვებს საქმეს.

✦ ტფილისის საოლქო სასამართლოს წარედგინა ბრალდებითი ოქმი, რომლით სამართალში მიცემულნი არიან გორის მაზრის **აზნაურნი** ივ. და ზაქ. ტატიშვილები და ილია ბატიშვილი; მათ ბრალდებათ შეიარაღებული **თავდასხმა საპოლიციო დარაჯ ყასაბიევზე**.

✦ მოგვივიდა მე-7 და მე-8-ე №№-ბი (ერთ წიგნად გამოცემული) საყმაწვილო ჟურნალ „**ჯეჯილისა**“ შემდეგის შინაარსით; ა) „ყვავილების გამყიდველნი“, მოთხრობა ნიკ. ხუციშვილისა, ბ) „ქვაბ-ქოთანას ამბავი“, ლექსი გ. ბოკერიასი, გ) „გალია“, პოლონურიდან, ა. ყუმისთაველისა, დ) „ძაღლი და ქათამი“, ამბავი, კახელ-იმერელისა, ე) „ორი ძმა“, ზღაპარი ლ. ტოლსტოისა, თარგ. ი. გომელაურისა, ვ) „ეკლიანი ბუჩქი“, ამბავი, კახელ-იმერელისა, ზ) „მელია და მგელი“, იგავი, გ. ახალციხელისა, თ) „ზღვა მეძახის“, თარგმანი ლიზა მესხიშვილისა, ი) „ქინაქინას ხე“, ილიკოსი, ი) „მურთუზას ძაღლი“, ამბავი, ნ. ნინოწმინდელისა, ია) „ვაი, სიხარულმ წამწყმინდა“!.., ზღაპარი ლექსად, ვ. რუხაძისა, იბ) „ტასიკოს მამაცობა“, ამბავი, მარიამ დემურიასი, იგ) „შურის-ძიება“, რუსულიდან, ქეთო ზარაფიშვილისა, იდ) „მარიამ დედოფალი“, ბოროზდინიდან, ა. ყუმისთაველისა, იე) „პატარა მკითხველების წერილები“, ივ) „წვრილმანი“: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ზმა, ჩქარა გამოსათქმელი, სიტყვების ამოცანა, შარადა და გამოცანების ახსნა.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 26 აგვისტო

**ლონდონი.** შანხაიდან იუწყებიან, რომ იაპონიამ შეატყობინა სახელმწიფოებს, რომ ის თანახმა არის რუსეთის წინადადებაზე პეკინიდან ჯარების წაყვანის შესახებ, მხოლოდ საჭიროდ სთვლის საელჩოების დასაცველად დარაჯთა საკმაო რიცხვის დატოვებას. გარდა ამისა იაპონია საჭიროდ სთვლის, რომ თვით ჩინეთმა მოითხოვოს პეკინიდან ჯარების გაყვანა და მოლაპარაკების დაწყება და რომ ჩინეთი დაჰპირდეს წესიერების აღდგენას.

ტიანცზინიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჯარები შევიდნენ პეკინის აღკრძალულ ნაწილში სხვა-და-სხვა კარებით—რუსები და ფრანგები ერთად, ხოლო გერმანელები, ამერიკელები, ინგლისელები და იაპონელები ცალკ-ცალკე კარებით. პეკინიდან წავიდნენ ინგლისის საზღვაო ბრიგადა და ინგლისის სადარაჯო რაზმი.

**პრეტორია.** ამბობენ, რომ დევეტი და ტერონი შეერთებულან იოჰანესბურგთან; მათ ერთად ჰყავს 1800 კაცი. მათ უჭირავთ მაღალი გორაკები იოჰანესბურგიდან სამხრეთით. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა დიდძალი ინგლისის ჯარი. ბურებს ზარბაზნები არა აქვთ.

**შანჰაი.** ამბობენ, რომ იუნ-ლუ წასულა პაოტიმფუდან ყველა თვისი ჯარებით ტაჩენფუში. ფინანსთა სამინისტროს პრეზიდენტმა ჩინ-სიმ თავი მოიკლა პეკინში.

ამბობენ, რომ ჩჟან-ჩიგუნის განზრახვა 500,000 ტაელის სესხისა ხანკოუს ვაჭრებისაგან ვერ განხორციელდა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება, რომ გენერლებმა დევლონალდმა და ბროკლჰერსტმა ხუთშაბათს დაიპყრეს ლეიდენბურგი, ნაწილი ბურებისა წავიდა ჩრდილოეთისაკენ და ნაწილი აღმოსავლეთისაკენ; ზარბაზნები და სურსათი გაგზავნეს კრიუგერსპოსტში.

**ლონდონი.** გაზეთები განრისხებულნი არიან იმის შესახებ, რომ მშვიდობიანობაზედ მოლაპარაკებისათვის ჩინელებმა დაჰნიშნეს კომისარებად იუნ-ლუ და ხონა. გაზეთი „სტანდარდტი“ ამ პირების დანიშვნას შეურაცხყოფათ სთვლის მოკავშირე სახელმწიფოებისათვის; შეუძლებელია არსებობა იმგვარ სამშვიდობო მისიისა, რომელიც შესდგება ამგვარი პირებისაგანაო.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება ბელფასტიდან 23 აგვისტოს, რომ ბურების რაზმი სამის ზარბაზნით თავს დაესხა რკინის გზის სადარაჯოს პანისა და ვონდერსფონტენს შუა, სადაც იდგა 125 კანადელი მსროლელი. ბურები უკუქცეულ იქმნენ.

### 27 აგვისტო

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა პენსიის შესახებ ახალი კანონების გამოცემამდე ნება მიეცეს სამხედრო მინისტრს სამხედრო ოლქების და პოლკის უფროსების წარდგენილებით, დასტოვოს ხოლმე სამსახურში ის კაპიტნები, როტმისტრები და ესაულები, რომელნიც წლოვანებით 55 წელს არ გადასცილებიან და სამსახურის ასრულება შეუძლიანთ.

**გულჩა.** (კაშგარია) ჯერ მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

**ხარკოვი.** დიდი მთავარის კონსტანტინე კონსტანტინეს-ძის მფარველობის ქვეშ მყოფი სამხრეთ-რუსეთის საბალოსნო საზოგადოების მიერ განზრახული საბალოს-

ნო გამოფენა უკვე მოწყობილია. გამოფენა გაიხსნება 28 აგვისტოს. სახაიებში, სასადილოებში, მაღაზიებში და ნავთ-სადგურებზედ, გუბერნატორის განკარგულებით, დაარიგეს ე. ვ. ბაგდანოვიჩისაგან გამოგზავნილი მისი გამოცემანი მათ უდიდებულესობათა წელს საზიარებლად მოსკოვში ყოფნის სურათები. ყოველი მხრიდან მოსული ხალხი ალტაცებაში მოჰყავს ამ სურათებს და დიდის სიამოვნებით იღებენ ხელოვნურად შესრულებულს სურათებს.

**ჰონკონგი.** დღეს საღამოთი მოელიან უწესოების მოხდენას. ჯარებს ნაბრძანები აქვთ თავიანთ ადგილს არ მოჰშორდნენ. პოლიციამ მიიღო ბრძანება, რომ არ გაამართვინონ ჩინელთ დღესასწაული ვეშაპისა, მაგრამ ჩინელებს მაინც ჰსურთ შეასრულონ თავიანთი განზრახვა.

**ლონდონი.** დეპეშა ბელფასტიდგან: „მტერი ყოველნაირს საშუალებას ხმარობს მატარებლების გადასაჩეხავად და რკინის გზის ლიანდაგების გასაფუჭებლად. არ გაივლის დღე, რომ ამისთანა ამბავი რამ არ მოხდეს. ეს დაცემანი უსიამოვნონი არიან, მაგრამ ამისთანა ამბავს ყოველთვის ჴოსდევს დასჯაც; ბურები მალე მიხვდებიან, რომ ამისთანა საქციელით თავიანთ თავს უფრო ავნებენ, ვიდრე ჩვენ“.

**ბელგრადი.** ოფიციალურად გამოცხადებულია შემდეგი განცხადება: როგორც თავის პროკლამაციაში 8 ივლისის თარიღით, აგრეთვე შემდეგ ნათქვამ სიტყვებშიაც, მეფემ ცხადად გამოსთქვა, რომ არავისგან არ მოითმენს ვერაგობას და მზაკვრობას სამეფო სახლის წინაალმდეგ; მაგრამ ამ ბოლოს დროს მაინც ეცადნენ ჩაედინათ ვერაგობა; მეფემ მათ ზიზღით შეხედა. რამდენიმე დღის წინად დედოფლად ნამყოფმა ნატალიამ გამოუგზავნა თავის გოფმარშალს ფოსტით ღია წერილი, რომელშიაც საწყენი და დამამცირებელი სიტყვებით იხსენიებს მეფე-დედოფალს. ამის გამო, მეფის მინდობილობით, ეცხადება ყველას, რომ გაიძვერაობა და დემონსტრაციები სამეფო სახლის საფუძვლის შესარყევად, ცნობილ იქმნებიან ღალატად, ვინც უნდა იყოს მათი ჩამდენი. ვინცა სცდილობენ მშვიდობიანობისა და წესის შერყევას, უნდა იცოდნენ, რომ მათ მოექცევიან, როგორც მოღალატეებს და მეამბოხეთ.

**შანხაი.** გერმანიის საელჩო ექიმმა ვალდემ განმარტა, რომ ელჩი კეტტელერის მსწრაფი სიკვდილის მიზეზი იყო ტყვია, რომელიც მას მოარტყეს კასერში თავ—დასხმის დროს. მკვლელობა მოხდა დილის 9 საათზე. ელჩებმა მიმართეს ცუნგ-ლი-იამენს თხოვნით მიეწვიათ ისინი სადარბაზოდ დილის 9 საათზე, რათა მათ შესძლებოდათ უკმაყოფილება გამოეცხადებინათ ჩინეთის მთავრობას დიპლომატიურ კორპუსის დადგენილების შესახებ, მაგრამ ამ თხოვნაზედ მათ პასუხი არ მიიღეს და მხოლოდ ამიტომ არ წავიდნენ ცუნგ-ლი-იამენში და არა იმიტომ, ვითომ შეშინებოდათ თავდასხმისა: ისენი სრულებითაც არ მოელოდნენ თავდასხმას. კეტელერი, კერძო შეთანხმების გამო, წავიდა ცუნგლი იამენში მარტო. პრინცი ცინის ჯარები თავდაპირველად ომობდნენ „დიდი მუშტის“ წინაალმდეგ. იუნ-ლუს მოქმედება ორაზროვანი იყო და იმისი ჯარი იბრძოდა საელჩოებს წინააალმდეგ.

**კოპენჰაგენი.** კერძო დეპეშა ხრისტიანიიდან იტყობინება, რომ გერცოგ ამრუცის კიდევ შეხვეული აქვს ხელი, რომელიც მან საშობაო დღესასწაულებში ძალების წრთვნის დროს გაიფუჭა.

**ბელგრადი.** ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მეფე დედოფლის მოგზაურობა შუაგულ სერბიაში გადაიდვა, რადგანაც დედოფალი ფეხ-მძიმედ ბძანდება. სერბიის ელჩი ვენაში დათხოვნილ იქმნა. დედოფალი ნატალიის სახლის გოფმარშალის ნაწილი, რომლის უფროსად იყო პოლკოვნიკი სიმონოვიჩი, ეხლა გაუქმებულ იქმნა.

**პეტერბურგის ბირჟა 25 აგვისტოს**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96 |
| 4½°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99½ | — |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¼ | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | 321 | — | — |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 274½ |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 208¾ |
| 3½°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 89 | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 4°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| 4½°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | — | 86⁵/₈(?) |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 | გ. 8½ | კ. |
| სუკი . . . . . . | » | — 15 | კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — 8½ | კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 | კ. |
| » კამეჩისა | » | » — 5 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | 3½ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | 5 | « |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | 3½ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | « |

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ | |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » | |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » | |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ. „ ფშხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10°/₀ შავ-ნარევი —ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი— მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

---

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოგზალზე: | |
|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. კ. | მ. კ. | |
| | 1 | 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | კაპ. |
| ქერი . . . . . . | 1 | —მ. —70 | კ. |
| სიმინდი . . . . | 1 | — —65— | |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 —20— | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 ց15 10— | |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — 30—— | |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 65—— | |
| ხახვი . . . . . . | 1 | — 10—— | |
| თივა . . . . . . | 1 | — 25—— | |
| ბზე. . . . . . . | 1 | — 23—— | |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნადგვი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 80 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრულისა 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.დამ 34 მ.,

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

გამომც. გ. გუნია